ფოტო: გიორგი ნიპოლავა

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების
უწერას, მრავალძალის და ჯურორტ შოვის

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების
პროექტის ნაწილი

სეფლებ ღებისდა ჭიორას
განვითარების კონცეფცია

ARTSTUDIO
PROJECT

2018 აგვისტო

ონი

პროექტის დამკვეთი:

საქართველოს მდგრადი განვითარებისა და
ეკონომიკის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

კონტრაქტორი ორგანიზაცია
"არტსტუდიო პროეტი"

პროექტის კოორდინატორი ი. სკალვინი
ასისტენტი: ქ. ფანცულაია

ARTSTUDIO PROJECT

შპს "არტსტუდიო პროექტი" (20448993)
0179 ქ. თბილისი ზ .სასანდელიძის. № ქ.3
ტელ.:(+995 32) 91 52 54
ელ-ფოსტა:info@artstudio.ge
http://artstudio.ge

პროეტის ხელმძღვანელი: გ. სულაბერიძე
არქიტექტორები: შ.დემეტრაშვილი
ა.მამულაშვილი
ს.გაჩეჩილაძე
ი. ჩხიკვაძე

გეოგრაფები: გ.კანკია
ლ.ქვანია
ადგილობრივი კონსულტანტები : ს. ლობჟანიძე
ტ. მიქაუტაძე
გ. დვალი
ვიზუალიზაციის სპეციალისტი: დ. რუსიტაშვილი

შენობა-ნაგებობათა ინსტიტუტი
საქართველო
Georgian Institute of Building
მის: თბილისი, შალვა დადიანის ქ. №30
ტელეფონი: (+995) 599 56 14 84
ელ.ფოსტა: info@gib.org.ge
http://gib.org.ge

ურბანული დაგეგმვის სპეციალისტი: ვ. კუხიანიძე

კულტურული მემკვიდრობას სპ.: გ. ბურჯანაძე
ქ.ჯანანაშვილი
ა. რეხვიაშვილი

იურისტი: კ. კილურაძე
ეკონომისტი: თ. ჯოხაძე

ტურიზმის სპეციალისტები: ი. თაბაგარი
ი. ქობულია

გამა კონსალტინგი
მის: თბილისი, გურამიშვილის გამზ. №17ა
ტელეფონი: (+995) 032 60 15 27
ელ.ფოსტა: info@gamma.ge
http://gamma.ge

გარემოსდაცვითი ჯგუფის ხელმძღვანელი:
ვახტანგ გვახარია
გეოგრაფი: კახა ბახტაძე
გის სპეციალისტი: ნინო ხელაძე
ბიოლოგი: ნინო ცქვიტიშვილი
ჰიდროგეოლოგი: ავთო ჯღამაძე
ქიმიკოსი: ტარიელ ადამია
გეოლოგი: არჩილ მაღალაშვილი
ნიადაგების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი:
თ. ურუშაძე
გიორგი ღამბაშიძე
სანიტარული ზონირების სპეციალისტი:
ჯულული ახვლედიანი
ინჟინერ-სანტექნიკოსი: გია ჩხეიძე
ეკოლოგი: ლევან ზაზაძე
ჰიდროგეოლოგი: დავით სოზაშვილი
ჰიდროგეოლოგი: ბექა ლებანიძე
გეოლოგი: ლევან დოლიაშვილი

პროექტის ელექტრონული პორტალი:
zemoracha.info
zemoracha@artstudio.ge

პროექტის შინარსი

1. რეზიუმე 2
2. კონტექსტი 3
   2.1 შესავალი 3
   2.2 მუნიციპალიტეტის დონე 4
   2.3 თემის დონე 7
3. სოფლების (ჭიორა - ღები) განვითარების კონცეფცია 7
   3.1 მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები 7
   3.2 საზღვარი 8
   3.3 განვითარების პირობები 8
   3.4 საცხოვრისი 9
   3.5 მგრნობიარე და კრიტიკული არეალები 10
   3.6 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურტა 11
   3.7 სოციალური ინფრასტრუქტურა 11
   3.8 ტურისტული ინფრასტრუქტურა 12
   3.9 ბუნებრივი გარემოს და სოციო-ეკონომიკური ვითარების შეფასება - დადებითი და უარყოფითი მხარეები, შესაძლებლობები, გამოწვევები 16

4. გრაფიკული ნაწილი:

1. რუკა 2.2.1 - მუნიციპალური კონტექსტი - ღები - A3 - მ. 1:200 000
2. რუკა 2.2.2 - მუნიციპალური კონტექსტი - ჭიორა - A3 - მ. 1:200 000
3. რუკა 2.3.1 - ადგილობრივი კონტექსტი - ღები-ჭიორა - A3 - მ. 1:100 000
4. რუკა 3.3.1 - სინთეზური რუკა - ღები - A1 - მ. 1:5 000
5. რუკა 3.3.2 - სინთეზური რუკა - ჭიორა - A2 - მ. 1:5 000
6. რუკა 3.8.1 - რეგიონული ტურისტული რუკა - ღები-ჭიორა - A3 - მ. 1:100 000

1. რეზიუმე

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს სოფლების - ღებისა და ჭიორას განვითარების კონცეფციის საბოლოო ვერსიას, რომლის მიზანია გამოავლინოს ის პირობები, რომლის ფარგლებშიც მაოხდინეს სოფლებმა არსებობა და განსაზღვროს ის მიმართულებები, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება. საბოლოოდ, კი შედეგი მიმართულია სოფლების მოსახლეობის შენარჩუნებისკენ, რაც ძირითადი გამოწვევაა არა მხოლოდ ონის მუნიციპალიტეტის, არამედ ზოგადად ქვეყნის მაღალმთიანი სოფელბისათვის.

ღები და ჭიორა ახლო გეოგრაფიული მდებარეობით, მჭიროდ არიან ურთიერთდაკავშირებული და შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ორივე სოფლის განვითარების კონცეფციის ერთ დოკუმენტში მოქცევა.

დოკუმენტი, თავდაპირველად წარმოდგენილია კონტექსტის თავის სახით, სადაც თავმოყრილია ის ძირითადი ინფორმაცია, რაც წარმოდგენას გვიქმნის ღებისა და ჭიორას ლოკალურ და რეგიონულ მდებარეობაზე, მათ ძირითად გეოგრაფიულ მოცემულობაზე, დემოგრაფიულ ვითარებაზე და ზოგად ადგილობრივ პირობებზე, ხოლო განვითარების კონცეფციის თავში განხილულია პირველ რიგში, რა მიზნით მუშავდება დოკუმენტი, მიზნების მისაღწევად რა ამოცანების შესრულებაა საჭირო და საბოლოოდ რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს სოფლისთვის; ამის შემდგომ გამოიკვეთა ის კონკრეტული არეალი, რომლის ფარგლებშიც ვრცელდება დოკუმენტით გათვალისწინებული პირობები; საზღვრის მიმოხილვის შემდგომ უკვე განხილულია მის ფარგლებში განვითარების პირობები, რაც გულისხმობს იმ ფაქტორებს რამაც განაპირობა სოფლის არსებობა და გამოჰყოფს იმ მიმართულებებს, რაც მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია სოფლის განვითარებისთვის; შემდგომ, საცხოვრისის ქვეთავში შეფასებულია სოფელში საცხოვრისის არსებული ვითარება და გამოვლენილია სამომავლო რესურსი; ასევე განხილულია მგრძნობიარე და კრიტიკული არეალები, სადაც საუბარია კონკრეტულ არეალებში წარმოქმნილ პრობლემებსა და კონფლიქტურ საკითხებზე; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში მიმოხილულია სოფელში არსებული ვითარება, განხილულია მნიშვნელოვანი საგზაო კავშირები და მათი განვიტარებით გამოწვეული დადებითი შედეგები; სოციალური ინფრასტრუქტურის ქვეთავში განხილულია სოფელში წარმოდგენილი ვითარება და შეფასებულია სამომავლოდ, ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება; ტურისტულ ინფრასტრუქტურაში კი მიმოხილულია სოფლის ტურისტული პოტენციალი, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება და წარმოდგენილია გარკვეული ტურისტული მარშრუტების აღწერილობა.

2. კონტექსტი

2.1 შესავალი

ღები მთის რაჭის (ონის მუნიციპალიტეტი) ერთ-ერთი უძველესი სოფელია. იგი მდებარეობს მდინარე რიონის ორივე ნაპირზე, ხეობის ფერდებზე, მდინარე ჩვეშურას შესართავთან, ზღვის დონიდან 1390 მეტრზე, ქალაქ ონიდან 35 კმ-ის დაშორებით. ღები მოქცეულია კავკასიონის მთავარი ქედისა და შოდა-კედელას ქედს შორის, რომელიც საშუალო სიმაღლით 3800 მეტრს აღემატება ზღვის დონიდან. ღების თემს მიეკუთვნება რამდენიმე სეზონური დასახლება, რომლებსაც მოსახლეობა საზაფხულო საცხოვრებლად იყენებს - სოფლის სამხრეთით მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი თევრეშო და სოფელი ბრილი, ხოლო ღების ჩრდილეოთით კავკასიონის ქედის ძირში მდინარე ჩვეშურას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი გონა და სოფელი ჭანჭახი. გონაში, თევრეშოსა და ბრილში მოსახლეობა დღესაც სახლდება ზაფხულობით (რამდენიმე ოჯახი), ხოლო ჭანჭახი მიტოვებულია.

სოფელი ჭიორა მდებარეობს ღების აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე,ზღვის დონიდან 1360 მეტრის სიმაღლეზე. ღებიდან დაშორებულია 5 კმ-ის მანძილზე, ხოლო ქლაქ ონიდან 30 კმ-ის მანძილზე.

ღები და ჭიორა ჩრდილო კავკასიის გადასასვლელებთან მდებარეობს, მიუხედავად რთული გეოგრაფიული მდებარეობისა, აქ თავს იყრიდა ჩრდილო კავკიასიიდან, ქართლიდან, ქვემო რაჭიდან, იმერეთიდან და სვანეთიდან მომავალი სავაჭრო გზები.

შემთხვევითი ხასიათის აღმოჩენები, რომლებსაც ადგილი აქვთ მთის რაჭაში, (განსაკუთრებით საინტერესოა სოფელ ბრილში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ქვის ყუთის აკლდამები) აშკარად უჩვენებენ, რომ ღებში, ჭიორასა და გლოლაში ადამიანს უცხოვრია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, მაგრამ ამ მოსახლეობის ვინაობის გამორკვევა ჯერჯერობით ძნელია. დღევანდელი მთის რაჭის ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობა სახლობდა და კავკასიონის მთელი ეს კუთხე XV საუკუნის პირველ ნახევარში სვანეთს ეკუთვნოდა, მიუხედავად ამისა სვანური ყოფის ძველი ნაშთები მთის რაჭაში აღარ ფიქსირდება, ამას მოწმობს პროფესორ სერგი მაკალათიას წიგნში „მთის რაჭა“, დადასტურებული ინფორმაცია, რომ სვანური ყოფის ძეველი ნაშთებიდან დარჩენილია მხოლოდ ერთი „მურყვამი“-ს ტიპის კოშკი სოფელ ღებში. აღნიშნული კოშკი დღემდეა შემროჩენილი და მასში ღვთისმშობლის სახელობის სამლოცველო ფუნქციონირებს, რომელსაც „დედაღვთისა“ ეწოდება.

სოფელ ღების დაარსების ორი ვერსია არსებობს. პირველი მათგანის მიხედვით, ღები დაუარსებია ლეჩხუმიდან მთის რაჭაში გახიზნულ ვიღაც მღებავს, რომელიც თავისი ხელობა-მღებრობით ირჩენდა თავს და მის სამოსახლო ადგილსაც ღები დარქმევია. მეორე ვერსიის თანახმად, რომელიც შედარებით უფრო სარწმუნოა, ღების სახელი მომდინარეობს სვანური სიტყვიდან „ღვებ“, რაც ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს, რადგან თავად სოფელიც ჩაღრმავებულ ადგილას არის განთავსებული.

რაც შეეხება სოფელ ჭიორას, თქმულების მიხედვით ისინი გადმოსახლებულან ფასის მთის ჩრდილოეთის მხრიდან, სადაც მათ თათრები (ჩრდილოეთის ტომები) ავიწროვებდნენ. ჭიორლებს ღებელებისთვის მათი ტერიტორიის ფარგლებში დასახლების უფლება უთხოვიათ და აურჩევიათ ადგილი სადაც ბევრი „მწიორი“ ბუდობდა (მწიორი-მელა, კვერნა, კურდღელი და სხვა ამგავრი ცხოველი), აქედან გამომდინარე სოფელსაც ჭიორა დარქმევია.

ონის მუნიციპალიტეტის 2016 წლის მონაცემებით, სოფელ ღების თემში ცხოვრობს 582 მოსახლე, მათგან 394 ღებში, 186 პატარა ღებში (სოფელ ღების ერთ-ერთი ნაწილი, მდებარეობს რიონის მარჯვენა ნაპირზე) და 2 გონაში. აღნიშნული მონაცემის გადამოწმება ვერ ხერხდება, მოსახლეობის სეზონური მიგრაციის გამო. სოფელ ჭიორაში ონის მუნიციპალიტეტის ამავე წლის მონაცემებით ცხოვრობს 108 მოსახლე.

2.2 მუნიციპალიტეტის დონე

ღები და ჭიორა წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის მთიან სოფლებს. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, შედიან შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: ს.ღები - ღების თემში და ს.ჭიორა - ჭიორას თემში. ღების და ჭიორას თემები ონის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილშია განლაგებული (ღების თემი - ჩრდ.-დას. ნაწილში; ჭიორას თემი - ჩრდ.ნაწილში) და ესაზღვრებიან რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს, შესაბამისად, მათ ტერიტორიაზე გადის სახელმწიფო საზღვარი. ღების თემი ასევე, ესაზღვრება ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებს. ღების თემის ტერიტორიაზე გადის 3 დონის საზღვარი: სახელმწიფო, მუნიციპალური და შიდა ადმინისტრაციული. ღების და ჭიორას თემების ფარგლებში შემოდის სასაზღვრო ზოლი - 500 მ სახელმწიფო საზღვრიდან და სასაზღვრო ზონა - 5 კმ სახელმწიფო საზღვრიდან[1].

ღების თემს მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი უჭირავს. ფართობის მიხედვით, იგი უდიდესია, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 22%-ია მოქცეული ღების თემის საზღვრებში, ხოლო ჭიორას თემი რიგით მე-4 ადგილს იკავებს (მუნიციპალიტეტის 9.8%).



ილუსტრაცია 2.2.1 ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

ღების თემს, გარდა ფართობისა, ასევე მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელს მუნიციპალიტეტში. ქ.ონის შემდგომ, სწორედ ღების თემი არის მოსახლეობის მიხედვით უდიდესი ადმინისტრაციული ერთეული, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა მთელს თემში, 2016 წლის მონაცემების მიხედვით შეადგენს 582 ადამიანს. ხოლო, ჭიორას თემი, მიუხედავად მისი დიდი ფართობისა, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პატარაა, მოსახლეობის საერთო რაოდენობა მხოლოდ 108 ადამიანს შეადგენს, 2016 წლის მონაცემების მიხედვით. ზოგადად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის საშუალო რაოდენობა შეადგენს 360 ადამიანს. ღების თემში ეს მაჩვენებელი საშუალოზე გაცილებით მაღალია, ხოლო ჭიორას თემში პირიქით, ბევრად ნაკლებია. საშუალოზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება მუნიციპალიტეტის 14 თემი და ჭიორას თემიც მათ მიეკუთვნება, ხოლო საშუალოზე მაღალი რაოდენობით გამოირჩევა 5 ადმინისტრაციული ერთეული: ქ.ონი, ღების თემი, უწერას თემი, შეუბანის თემი და ღარის თემი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უწერას, შეუბანისა და ღარის თემებს ახლო გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნიათ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან, ქ.ონთან და მოსახლეობის თავმოყრა მუნიციპალიტეტის ამ ნაწილში შესაძლოა ამ გარემოებით იყოს განპირობებული, მაშინ როცა ღების თემი მუნიციპალიტეტის უკიდურეს

ნაწილში მდებარეობს, თუმცა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური ნაწილისგან დაშორებისა და რთული გეოგრაფიული პირობების მიუხედავად, ღების თემი გამოირჩევა რიგი ფაქტორებით, რაც განაპირობებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვან თავმოყრას ამ ნაწილში. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 43%

[1] კანონი საქართველოს საზღვრის შესახებ

თავმოყრილია ქ.ონში, ხოლო დანარჩენი 57% - 18 ადმინისტრაციულ ერთეულში, აქედან 8.5% - ღების თემში. რაც შეეხება მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ონის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე არის 509 ადამიანი/1 კმ²-ზე. ღების თემში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია, თითქმის ორჯერ აღემატება - 917 ადამიანი/1 კმ²-ზე, ხოლო ჭიორას თემში ოდნავ დაბალია - 457 ადამიანი/1კმ²-ზე.



	ქ. ონი	ღები	უწერა	შეუბანი	ღარი	გლოლა	საკაო	ხორი	ფარახეთი	წედისი	გომი	პიპილეთი	ბარი	ცხმორი	კომანდელი	ჭიორა	კვაშხიეთი	შქმერი	მრავალძალი
მოსახლეობის რ-ბა*	2950	582	483	434	386	276	238	194	177	152	151	147	128	125	121	108	82	72	45
მოსახ.სიმჭიდროვე (მოსახლე/კმ2)	1719	917	515	1192	707	169	539	378	192	251	800	210	309	226	415	457	160	159	347

ილუსტრაცია 2.2.2 მოსახლეობის განაწილება ონის მუნიციპალიტეტში[2]

მუნიციპალურ დონეზე განხილვისას ასევე, მნიშვნელოვანია თემების ტერიტორიული დახასიათება. ქვემოთ მოცემულ ინფოგრაფიკებში წარმოდგენილია შემდეგი სახის ინფორმაცია: მიწის გამოყენების სტრუქტურა და განაწილება თემის ტერიტორიაზე, განხილულია ცალ-ცალკე ღების და ჭიორას თემები და ნაჩვენებია ურთიერთმიმართება მუნიციპალიტეტის საერთო მდგომარეობასთან; ასევე, ღების და ჭიორას თემების საზღვრებში შემომავალი გზების სიგრძე და მდინარეთა საერთო სიგრძე.

მიწის გამოყენების თვალსაზრისით, ორივე თემში ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ალპურ ზონას უჭირავს, ღების თემის საზღვრებში ხვდება მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ალპური ზონის თითქმის 1/3. ასევე, დიდი ფართობები უჭირავს ტყის ფონდს. ღების და ჭიორას თემებში, სასოფლო მიწები და განაშენიანებული ტერიტორიების ხვედრითი წილი ძალიან მცირეა, თუმცა მუნიციპალიტეტთან მიმართებაში შედარებით მაღალია, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის სასოფლო მიწების 10% ღების თემზე მოდის.



	საერთო ფართობი	ტყის ფონდი	ალპური ზონა	სასოფლო მიწები	განაშენიანებული ტერიტორიები
ონის მუნიციპალიტეტი	136857	74831	56127	4939	1209
ღების თემი	30245	9739	19934	512	63
ხვედრითი წილი ონის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში (%)	22	13	35	10	5
ხვედრითი წილი ღების თემთან მიმართებაში (%)	0	32	66	2	0.2

ილუსტრაცია 2.2.3 მიწის გამოყენება - ღების თემი

[2] * *წყარო: ონის მუნიციპალიტეტი*



მიწის გამოყენება ჭიორას თემში; მიწის განაწილება ჭიორას თემისა და ონის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში

	საერთო ფართობი	ტყის ფონდი	ალპური ზონა	სასოფლო მიწები	განაშენიანებული ტერიტორიები
ონის მუნიციპალიტეტი	136857	74831	56127	4939	1209
ჭიორას თემი	13385	4939	7555	246	24
ხვედრითი წილი ონის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში (%)	10	7	13	5	2
ხვედრითი წილი ჭიორას თემთან მიმართებაში (%)	0	37	56	2	0.2

ილუსტრაცია 2.2.4 მიწის გამოყენება - ჭიორას თემი



მდინარეთა საერთო სიგრძე ღების და ჭიორას თემებში, ონის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში

	კმ
ონის მუნიციპალიტეტი	1791
ღების თემი	345
ჭიორას თემი	142

ილუსტრაცია 2.2.5 ჰიდროგრაფია

გზების სიგრძე ონის მუნიციპალიტეტში

შიდასახელმწიფოებრივი (არსებული)

97 კმ

⇩

ღების თემი - 3 კმ

3%

ჭიორას თემი - 10 კმ

10%

ადგილობრივი (საპროექტო)

19.5 კმ

⇩

ღების თემი - 12.5 კმ

64%

2.3 თემის დონე

სოფლები - ღები და ჭიორა მდებარეობენ ღების და ჭიორას თემებში, მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილში.

ღები მდებარეობს მდინარე რიონის ორივე ნაპირზე, ხეობის ფერდებზე, მდინარე ჩვეშურას შესართავთან, ზღვის დონიდან 1390 მეტრზე, ქალაქ ონიდან 35 კმ-ის დაშორებით. მოქცეულია კავკასიონის მთავარი ქედისა და შოდა-კედელას ქედს შორის, რომელიც საშუალო სიმაღლით 3800 მეტრს აღემატება ზღვის დონიდან. ღების თემს მიეკუთვნება რამდენიმე სეზონური დასახლება, რომლებსაც მოსახლეობა საზაფხულო საცხოვრებლად იყენებს, საოფლის სამხრეთით მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი თევრეშო და სოფელი ბრილი, ხოლო ღების ჩრდილეოთით კავკასიონის ქედის ძირში მდინარე ჩვეშურას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი გონა და სოფელი ჭანჭახი. გონაში, თევრეშოს და ბრილში მოსახლეობა დღესაც სახლდება ზაფხულობით (რამდენიმე ოჯახი), ხოლო ჭანჭახი მიტოვებულია.

სოფელი ჭიორა თემის ერთადერთ სოფელს წარმოადგენს. მდებარეობს ღების აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე,ზღვის დონიდან 1360 მეტრის სიმაღლეზე. ღებიდან დაშორებულია 5 კმ-ის მანძილზე, ხოლო ქლაქ ონიდან 30 კმ-ის მანძილზე.

ღები და ჭიორა ჩრდილო კავკასიის გადასასვლელბთან მდებარეობს, მიუხედავად რთული გეოგრაფიული მდებარეობისა, აქ თავს იყრიდა ჩრდილო კავკიასიიდან, ქართლიდან, ქვემო რაჭიდან, იმერეთიდან და სვანეთიდან მომავალი სავაჭრო გზები.

3. სოფლების (ჭიორა – ღები) განვითარების კონცეფცია

3.1 მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

სოფლების - ღების და ჭიორას განვითარების კონცეფციის მთავარ მიზნებს წარმოადგენს

- სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის შენარჩუნება და ზრდის ხელშეწყობა
- საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება
- ბუნებრივი გარემოს დაცვა
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

მიზნების მისაღწევად საჭიროა სწორი ამოცანების დასახვა. მნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- სატრანსპორტო კავშირების განვითარება
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება
- სოფლის მეურნეობის განვითარება და ხელშეწყობა
- ტურიზმის სექტორის განვითარება
- მრეწველობის განვითარება (ღების შემთხვევაში)

მოლოდინად კი ვიღებთ შემდეგ შედეგებს:

- მდგრადი ბუნებრივი გარემო
- გაუმჯობესებული დემოგრაფიული ვითარება
- გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემო
- სოფლების მზარდი ეკონომიკა

3.2 საზღვარი

სოფელ ღებისა და სოფელ ჭიორას სარეკომენდაციო საზღვრები განისაზღვრა შემდეგი ძირითადი ნიშნებით: სოფლების საზღვრებში მოქცეულია განაშენიანებული ტერიტორიები; საზოგადოებრივი სივრცეები, რაც მცირე სახითაა მხოლოდ წარმოდგენილი; სასოფლო დანიშნულების ტერიტორიები, რაც ძირითადად განაშენიანების გარშემოა წარმოდგენილი; შიდა ადგილობრივი გზები. საზღვრებში შემოდის ძირითადი გზები: ჭიორას შემთხვევაში, საზღვრის სამხრეთ ნაწილი გავლებულია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალთან, ღების შემთხვევაში საზღვარში შემოდის ამავე მაგისტრალის მცირე ნაწილი, ხოლო საზღვრებში დიდწილადაა მოქცეული ადგილობრივი მნიშვნელობის საპროექტო გზები - კავშირები სოფლებთან: გონასთან და თევრეშოსთან. საზღვრების განსაზღვრისას, გათვალისწინებულ იქნა მდინარეთა კალაპოტები, რადგანაც, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობებში წარმოქმნილი სტიქიური მოვლენები პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. საზღვრებში ასევე მოქცეულია ტყის გარკვეული ნაწილი, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი შემდგომი დაცვა. საზღვრების განსაზრვრისას აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ობიექტები, რაც საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი როგორც ღებში, ისე ჭიორაში.

3.3 განვითარების პირობები

განვითარების პირობებში იგულისხმება ის ფაქტორები და პრიორიტეტული მიმართულებები, რამაც განაპირობა სოფლის არსებობა აქამდე და რამაც შესაძლოა უზრუნველყოს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სამომავლოდ.

დღეისათვის ღები წარმოადგენს მეორე ყველაზე დიდ დასახლებას მუნიციპალიტეტში, ქ.ონის შემდგომ.

- სოფლის ძირითადი ეკონომიკური მიმართულებაა სოფლის მეურნეობა. სოფელს გააჩნია სასოფლო-სამეურნეო რესურსი, სოფლის ტერიტორიაზე წარმოდგენილია დიდი მოცულობით სასოფლო გამოყენების მიწები.
- სოფლის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი მნშვნელობის გზა, სოფელს გააჩნია სატრანსპორტო კავშირი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან, სატრანსპორტო კავშირის განვითარება სოფელ გონასთან არის ტურისტული ნაკადების ზრდის პოტენციალი, სვანეთის მიმართულებით არსებული ბილიკები, ტურისტული მარშრუტები და თემის საზღვრებში შემომავალი დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები ღებში ტურისტული ნაკადების ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია.
- სოფელი მდებარეობს მდინარე რიონის ხეობაში, მისი ძველი, ისტორიული ნაწილი მდინარის მარცხენა ნაპირზე განვითარდა, ხოლო ახალი განაშენიანება მდინარის მარჯვენა ნაპირზეა განვითარებული. რიონი ამ ნაწილში საკმაოდ ფართო კალაპოტს ქმნის და საფრთხეს უქმნის როგორც განაშენიანებულ და სასოფლო ტერიტორიებს, ისე საავტომობილო ხიდებს (იხ. სოფ.ღების სინთეზური რკა).
- სოფლის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ქვის მჭრელი საამქრო, რომელიც დღეისათვის უმოქმედოა. საამქროს ფუნქციონირების პერიოდისათვის, სოფელში 400 კომლი ოჯახი ცხოვრობდა, ასვე სოფელში ფუნქციონირებდა საავადმყოფო, რომლის შენობაც დღემდეა შემორჩენილი. შესაძლოა შეფასდეს სოფლის ტერიტორიაზე საამქროს კვლავ ამოქმედება და ამით გამოწვეული შედეგები სოფლისთვის.
- ღების ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა მცირე ჰიდროელექტროსადგური (იხ. რუკა 3.3.1), რომელიც უზრუნველყოფდა სოფლისათვის ეექტროენერგიის მიწოდებას. ხოლო ადგილობრივთა თქმით, აგრეთვე სოფელ ჭიორას ემსახურებოდა.

ჭიორა, მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მცირე მოსახლეობის მქონე დასახლებაა.

- სოფლის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა და ღებისკენ მიმართული ნაკადები მასზე გაივლის.
- სოფლის ძირითადი ეკონომიკური მიმართულებაა სოფლის მეურნეობა - სოფლის ტერიტორიაზე ვრცლადაა წარმოდგენილი სასოფლო გამოყენების მიწები, როგორც დამუშავებული მიწები, ისე საძოვრები.
- სოფლის ტერიტორიაზე მრავლადაა წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და სარეკომენდაციო ძეგლები.

3.4 საცხოვრისი

სოფლებში - ღებსა და ჭიორაში, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და მიმდინარე დემოგრაფიული ტენდენციების შეჩერებისა და მოსახლეობის ზრდის შემთხვევაში, შესაძლოა გაჩნდეს დამატებითი მოთხოვნილება საცხოვრისზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასდეს საცხოვრისის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა და რესურსები.

ღებსა და ჭიორაში, საცხოვრისის შესაფასებლად, განისაზღვრა საცხოვრისის სიმჭიდროვე. გის-მეთოდოლოგიით, განაშენიანებული ტერიტორები დაიყო 1 ჰა ფართობის მონაკვეთებად და დათვლილ იქნა თითოეულ მონაკვეთში მოხვედრილი საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა. საბოლოოდ, გამოვლინდა საშუალო მაჩვენებელი. ღების შემთხვევაში, საცხოვრისის საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 12 საცხოვრებელ ერთეულს 1 ჰა ფართობზე, ხოლო ჭიორას შემთხვევაში - 15 ერთეული 1 ჰა-ზე. უნდა აღინიშნოს, რომ ღებში 1 ჰა ფართობზე საცხოვრებელი ერთეულების განაწილება მეტი გრადაციით ხასიათდება, ვიდრე ჭიორაში და საშუალო მაჩვენებლისგან განსხვავებული, მაღალი და დაბალი სიჭიდროვის არეალები ვლინდება: მაღალი მაჩვენებელი - 28 საცხოვრებელი ერთეული 1 ჰა-ზე (ძირითადად ისტორიულ ნაწილშია ამგვარი სიჭიდროვე), დაბალი მაჩვენებელი - 2 ერთეული 1 ჰა-ზე. ხოლო ჭიორაში, საშუალო მაჩვენებლისგან მკვეთრი განსხვავებები არ შეინიშნება და თითქმის თანაბარი სიმჭიდროვით ხასიათდება: მაღალი სიმჭიდროვე - 20 ერთეული 1 ჰა-ზე, დაბალი - 11 ერთეული 1 ჰა-ზე.

საცხოვრისის რესურსის შესაფასებლად, გამოვლინდა განაშენიანებულ ტერიტორიაზე, საცხოვრისის საშუალო სიმჭიდროვის შემთხვევაში, რა რაოდენობის საცხოვრებელი ერთეულების რესურსი გააჩნიათ ღებს და ჭიორას. ღებში ამგვარი რესურსია 936 საცხოვრებელი ერთეული, ხოლო ჭიორაში 345 ერთეული. შესაბამისად, განისაზღვრა, მოსახლეობის დაახლოებით რა რაოდენობისთვის არის საკმრისი აღნიშნული რესურსი, რის შესაფასებლადაც გამოყენებულ იქნა შინამეურნეობების საშუალო ზომა. ღების და ჭიორას შემთხვევაში, ერთ საცხოვრებელ ერთეულზე საშუალოდ მოდის 2 ადამიანი. შედეგად, სოფელ ღებში შესაძლოა ცხოვრობდეს 1 872 ადამიანი, ხოლო ჭიორაში 690 ადამიანი.

დასახლება	მოსახლეობის რ-ბა	განაშენიანებული ფართობი (ჰა)	საცხოვრისის რ-ბა (ერთეული)	საცხოვრისის სიმჭიდროვე (ერთეული/1 ჰა-ზე)*	საცხოვრისის რესურსი (ერთეული)**	მოსახლეობის შესაძლო რ-ბა***
სოფ.ღები	582	78	617	12	936	1 872
სოფ.ჭიორა	108	23	238	15	345	690

ცხრილი 3.4.1 საცხოვრისის შეფასება[3]

[3] *საცხოვრისის სიმჭიდროვე - 1 ჰა განაშენიანებულ ფართობზე საცხოვრებელი ერთეულების საშუალო რაოდენობა

**საცხოვრისის რესურსი = განაშენიანებული ფართობი x საცხოვრისის სიმჭიდროვე

***მოსახლეობის პოტენციური რაოდნეობა = საცხოვრისის რესურსი x შინამეურნეობის ზომა

ილუსტრაცია 3.4.1 საცხოვრისის შეფასება

3.5 მგრნობიარე და კრიტიკული არეალები

ღებში ძირითად კრიტიკულ არეალებს ქმნის მდინარე რიონი და მისი ერთ-ერთი შენაკადი მდ.ჩვეშურა. რიონი ამ ნაწილში ქმნის საკმაოდ ფართო კალაპოტს და საფრთხეს უქმნის განაშენიანებულ და სასოფლო ტერიტორიებს, ასევე საავტომობილო ხიდებს. სეზონურად, წყალდიდობის პერიოდში მუდმივად ხდება ხიდების მონგრევა მდინარის მიერ. ჭიორაში ამგვარი ვითარება არ აღინიშნება, რადგანაც ღებთან შედარებით განაშენიანებული და სასოფლო ტერიტორიები მდინარის კალაპოტთან ახლო მდებარეობით არ ხასიათდება.

მგრძნობიარე კერებს ქმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სარეკომენდაციო ძეგლების ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალები. ჭიორაში საკმაოდ დიდი წილითაა წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობა, თუმცა ძირითადად კომპლექსურადაა განაწილებული და მათი დაცვის არეალებიც ერთმანეთთან თანხვედრაში მოდის, თუმცა მაინც დიდი ნაწილი უჭირავს სოფლის ტერიტორიის. ღებში კი მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მცირე რაოდენობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, ერთმანეთისგან დაშორებით მდებარეობენ და მათი დაცვის არეალებიც თითქმის ცალ-ცალკე ტერიტორიებს ქმნიან.

3.6 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

სოფლებში - ჭიორასა და ღებში გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალი შ-121, ჭიორას საზღვრებში მეტი წილითაა წარმოდგენილი, ხოლო ღებში გზის მხოლოდ მცირე ნაწილი შემოდის. სოფელ ღების საზღვრებში ასევე მოქცეულია ადგილობრივი მნიშვნელობის საპროექტო გზები თევრეშოსა და გონას მიმართულებით. ღები-გონას მიმართულებით არსებული გზა გრუნტის სახითაა წარმოდგენილი და სირთულით ხასიათდება. იგი მიუყვება მდ.ჩვეშურას ხეობას და დამატებით ღირებულებას სძენს გონას ტურისტულ პოტენციალს. სოფელი გონა, რთული გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობის შედეგად, წარმოადგენს საზაფხულო დასახლებას - ზამთარში სოფელი იცლება მოსახლეობისგან, თუმცა ზაფხულში დაბრუნებისას საკმაოდ აქტიურ საქმიანობას ეწევიან. საზღვრისპირა, უკიდურესი მდებარეობით, გონა წარმოადგენს მნიშვნელოვან პოტენციურ ტურისტულ ნაკადთა წარმომშობ დესტინაციას მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, საგზაო კავშირების გაუმჯობესება, ხელს შეუწყობს ნაკადთა ზრდას და ეკონომიკური აქტივობების გაჩენას როგორც სოფელ ღებში, ისე ზოგადად მუნიციპალიტეტში. ასევე, მნიშვნელოვანია თევრეშოს მიმართულებით საგზაო კავშირის განვითარება, რამდენადაც სოფელი თევრეშოც ასევე საზაფხულო დასახლებას წარმოადგენს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად, შესაძლებელი იქნება მუდმივი დასახლება და საქმიანობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე, სვანეთთან დამაკავშირებელი ბილიკები და სატყეო გზები, რომელთაც ტურისტული მიმზიდველობა გააჩნიათ.

რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალებებს, არ არის განვითარებული შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი, რაც აფერხებს როგორც სოფლის მოსახლეობის, ისე ტურისტული ნაკადების გადაადგილებას. მოსახლეობის და ტვირთების გადაადგილების მთავარი საშუალება მოტორიზებული ტრანსპორტია, ინდივიდუალური და უმეტესად სამარშუტო ტაქსი, ასევე კვირაში ერთხელ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ონი-ღების სამარშუტო საზოგადოებრივი ავტობუსი. შესაბამისად, საავტომობილო გზების ხარისხის გაუმჯობესება, მოწესრიგება და შემდგომი განვითარება წარმოადგენს მთავარ გამოწვევას მთლიანი რეგიონისთვის. სოფლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს უკავშირდებიან შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგლოლო-ჭიორა-ღების საავტომობილო გზით.

3.7 სოციალური ინფრასტრუქტურა

ღების და ჭიორას თემებში სოციალური ინფრასტრუქტურის განხილვისას, ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ონის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე მწირი სახით არის წარმოდგენილი სოციალური ინფრასტრუქტურა. მხოლოდ ქ.ონი ხასიათდება მრავალფეროვანი მომსახურების ობიექტების შედარებით დიდი რაოდენობით, ხოლო თემებში წარმოდგენილია მხოლოდ საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებები.

სოფელ ღებში ფუნქციონირებს საშუალო სკოლა, 13 საკლასო ოთახით. მოსაწავლეთა რაოდნეობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის - 38 მოსწავლე, ხოლო მასწავლებელთა რაოდნეობა - 17. ღების სკოლა ემსახურება ასევე ჭიორას, სადაც მხოლოდ დაწყებითი დონის სკოლაა. სოფელში არ არის ტიპური საბავშვო ბაღი, არამედ ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ცენტრი. ღებში არის ასევე ბიბლიოთეკის შენობა, თუმცა სავარაუდოდ იგი წარმოადგენს სოფლის ძველი ინფრასტრუქტურის ნაწილს და დიდი ალბათობით არ ხორციელდება ახალი ლიტერატურით განახლება. სამედიცინო დაწესებულებებიდან სოფელში ფუნქციონირებს ამბულატორია, რომელიც ასევე სოფელ ჭიორას მოსახლეობასაც ემსახურება და უზრუნველყოფს მხოლოდ პირველადი დახმარების სახის მომსახურებას. სხვა სახის სამედიცინო მომსახურების მიღება მოსახლეობას შეუძლია ადმინისტრაციულ ცენტრში. უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში ფუნქციონირებდა საავადმყოფო, რომლის ინფრასტრუქტურაც 1990-იან წლებში

წარმოქმნილი ეკონომიკური ვითარებისა და შიდა მიგრაციული პროცესების კვალდაკვალ მოიშალა, თუმცა შენობა დღემდეა შემორჩენილი. საავადმყოფოს ფუნქციონირებისას სოფლის მოსახლეობა დაახლოებით 400 კომლს შეადგენდა, ასევე მუშაობდა ქვის მჭრელი ქარხანა, შესაბამისად, არსებობდა მოთხოვნილება მსგავს სამედიცინო დაწესებულებაზე. მიმდინარე დემოგრაფიული ტენდენციის შეჩერებისა და ღებში მოსახლეობის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლოა კვლავ გაჩნდეს მსგავსი ტიპის დაწესებულების არსებობის საჭიროება. არსებული სოციალური ინფრასტრუქტურის ტერიტორიული განაწილება ხასიათდება იმ გარემობით, რომ თავმოყრილია ღების ისტორიულ ნაწილში. ამგვარი, ცენტრალურ ნაწილში კონცენტრაცია ქმნის მოსახლეობისათვის თითქმის თანაბარ ხელმისაწვდომობას მათზე.

სოფელ ჭიორაში ფუნქციონირებს დაწყებითი საბაზო სკოლა, რომელიც 10 საკლასო ოთახით უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომსახურებას, თუმცა საკლასო ოთახების დატვირთულობა დაბალია გამომდინარე იქიდან, რომ სოფელში მოსწავლეთა რაოდენობა არის 3 (ყველაზე კრიტიკული მაჩვენებელი ონის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის), ხოლო მასწავლებელთა - 6 (განათლ.სამ.მონ). სოფელში ასევე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი - ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ცენტრი. რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებებს, სოფელში არ არის არც ამბულატორია და არც სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა სახის დაწესებულება. ღების თემთან გეოგრაფიული სიახლოვე უზრუნველყოფს ჭიორას მოსახლეობის მომსახურებას სოფელ ღებში არსებული ინფრასტრუქტურით, თუმცა მცირე ამბულატორიული დაწესებულების არსებობა სოფელში აუცილებელია.

3.8 ტურისტული ინფრასტრუქტურა

ონის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალით, თუმცა ღების და ჭიორას თემებს დამატებით ტურისტულ ღირებულებას სძენს ის გარემოება, რომ მათ საზღვრებშო თავს იყრის სხვადასხვა ტურისტული მნიშვნელობის მატარებელი ტერიტორიები, კერძოდ: გეგმარებითი დაცული ტერიტორიები, ზურმუხტის ქსელი. ღების თემის საერთო ფართობის 78% სწორედ გეგმარებით დაცულ ტერიტორიებს უჭირავს, ხოლო ჭიორას შემთხვევაში 85%-ია მაჩვენებელი. მთლიანად მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი გეგმარებითი დაცული ტერიტორიების 37% შემოდის ღების საზღვრებში, ხოლო 18% - ჭიორას. ზურმუხტის ქსელს ღების თემის ტერიტორიის 79% უჭირავს, ხოლო ჭიორას თემის 72%. მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ზურმუხტის ქსელის 47% შემოდის ღების თემის საზღვრებში, 19% - ჭიორას თემის. ღების და ჭიორას თემების საზღვრებში თავს იყრის აგრეთვე ბუნების ძეგლები.

თემების საზღვრებში გადის მნიშვნელოვანი ტურისტული მარშრუტები:

- ჭიორა - წმ.გიორგის ეკლესია - გლოლა
- ღები - გონა - მყინვარი კირტიშო
- ღები - სასვანოს ტბა - ლენტეხი
- ღები - შოდის მთა - საკაო

გამომდინარე ზემოთაღნიშნული ტურისტული რესურსებისა და პოტენციალისა, ღების და ჭიორას თემები შესაძლოა იქცეს ტურისტთა ნაკადების მიზიდულობის მნიშვნელოვან არეალად მუნიციპალიტეტში, რაც სამომავლოდ თავისთავად აისახება ღების და ჭიორას სოფლების სოციო-ეკონომიკურ ვითარებაზე.

ტურისტთა ნაკადების ზრდა თავისთავად გამოწვევაა მოცემული სოფლებისთვის, ვიზიტორებს შესთავაზონ შესაბამისი ტურისტული მომსახურება და შესაბამისად, ინფრასტრუქტურა- უპირველეს ყოვლისა ასეთი მომსახურებაა განთავსება (განთავსების საშუალებები). ღებში ფუნქციონირებს 1 საოჯახო ტიპის სასტუმრო. თუმცა, ტურისტთა ნაკადების ზრდის პარალელურად, საჭიროა, დამატებითი განთავსების ობიექტის არსებობა, რაც ასევე საჭიროა ჭიორას შემთხვევაშიც, რომელსაც შუალედური მდებარეობა გააჩნია

გლოლადან ღებისკენ მიმავალ გზაზე და თავს უყრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და ობიექტებს.

მარშრუტების განვითარების ხედვა

1. სოფელ ღების პერსპექტივები

სოფელ ღებში ტურისტთა განთავსებისა და გადაადგილებისათვის არსებობს გარკვეული სახის რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ინფრასტრუქტურული. ამგვარ რესურსს წარმოადგენს:

- საოჯახო ტიპის განთავსების ობიექტები (4 საოჯახო სასტუმრო)
- ადგილობრივი გამყოლები/გიდები
- გადასაადგილებელი საშუალებები - რაც ხასიათდება მრავალფეროვნებით, მათ შორის მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები, საცხენოსნო ტრანსპორტი და ა.შ.

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია სეზონის ხანგრძლივობა, კერძოდ, ტურისტული აქტივობა შესაძლებელია ივნისის თვიდან ოქტომბრის ჩათვლით.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ძირითადი ტურისტული მარშრუტი მოკლე აღწერილობით, ძირითადი მიმართულებებით, სირთულის დონის შეფასებით, იმ მნიშვნელოვანი ტურისტული ღირსშესანიშნაობების ჩამონათვალით, რასაც მარშრუტი მოიცავს. მათი აღწერა ზოგადი ხასიათისაა და ძირითად მიზანს წარმოადგენს მათი ტურისტული ღირებულების შეფასება.

მარშრუტი: **სოფელი ღები - სოფელი გონა**

აღნიშნული მარშრუტის საერთო მანძილი შეადგენს 7 კილომეტრს და მისი დაფარვა შესაძლებელია კომბინირებული ფორმით - მოიცავს როგორც, სამანქანო, ისე ფეხით სავალ ნაწილებს.

მარშრუტი იწყება სოფელ ღების შესასვლელიდან, რომლის მიდმებარეთაც მდებარეობს ბუნების ძეგლის კანდიდატი ქვაბთათანას ლოდი (8-10 მ სიმაღლის), რასაც გარდა ბუნებრივი ღირებულებისა, გააჩნია კლდეზე ცოცვის პოტენციალი. მარშრუტი მიუყვება მდ.ჩვეშურას სანაპიროს და უშუალოდ გადის მდინარის ხიდზე, რაც ცალკე ექსტრემალურ ტურისტულ ღირებულებას სძენს. მდ.ჩვეშურას ხეობაში იქმნება ულამაზესი სანახაობა - მთა შოდა-კედელასა და მისი მყინვარის ხედებით. აგრეთვე, წარმოდგენილია მჟავე წყლები (მათ შორის შესაძლებელია ხვარგულის მჟავე წყლის დაგემოვნება). მარშრუტს მრავალფეროვნებას სძენს 100 წლიანი ისტორიის მქონე მაღარო, სადაც მოიპოვებდნენ სურმას (ქიმიური ელემენტი, ვერცხლისფერი მყიფე ლითონი; იყენებენ ტენქიკასა და მედიცინაში). მარშრუტის ძირითად ღირებულებას წარმოადგენს სოფელი გონა, რომელიც საზღვრისპირად მდებარეობს და მას დამატებით ექსტრემალურობას სძენს ის გარემოება, რომ სოფელში მოსახვედრად საჭიროა მესაზღვრეებთან საიდენთიფიკაციო პროცედურის გავლა. გონას ტურისტული მიმზიდველობა ძალზედ მაღალია - საზღვრისპირა მდებარეობა, კავკასიონის ქედის ხედები, რთული ბუნებრივი პირობები. იგი წარმოადგენს საზაფხულო დასახლებას და გააჩნია სოფლის ტურიზმის განვითარების პოტენციალი.

მარშრუტი: **ორდღიანი საცხენოსნო ტური**

აღნიშნული მარშრუტი მოიცავს სოფელ ღებს, დომბას, რომელიც არის საზაფხულო ალპური საძოვარი და სოფელ გონას. ღების ტერიტორიაზე და მიმდებარედ, წარმოდგენილია მჟავე წყალი ვეძა, გამორჩეული სამკურნალო თვისებებით. მარშრუტს მრავალფეროვნებას სძენს საბჭოთადროინდელი ქვის სახერხი ქარხანა, რომელიც დღეისათვის არ ფუნქციონირებს, თუმცა მისი ეზო და შენობა წარმოადგენს მიმზიდველ სანახაობას მიტოვებული და უფუნქციოდ დარჩენილი ობიექტების მოყვარულთათვის. მიმდებარედ შესაძლებელია კავკასიონის ხედებით ტკბობა, კერძოდ შოდა-კედელას მყინვარით.

დომბა ხასიათდება განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობებით - მდებარეობა ზღ.დ-დან 2 300 – 2 400 მ სიმაღლეზე, ალპური სარტყელი, საძოვარი მინდვრებით, კეცის ქვებით გარშემორტყმული ტბით და წყაროთი, რომელსაც ორმეტრიანი რადიუსით, 9 ადგილას გააჩნია გამოსავალი წერტილი. ტბის ტერიტორიიდან 360^0-ით იშლება პანორამული ხედები რაჭის, სვანეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთათა სისტემა და იკვრება კავკასიონის ჯაჭვი. დომბის სამხრეთით წარმოდგენილია ასევე საზაფხულო საძოვრი - გორები, რომელიც გადაჰყურებს სოფელ ღებს და მის მიმდებარე ტერიტორიებს. მარშრუტის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს აგრეთვე სოფელი გონა, რომელიც საზღვრისპირად მდებარეობს და მას დამატებით ექსტრემალურობას სძენს ის გარემოება, რომ სოფელში მოსახვედრად საჭიროა მესაზღვრეებთან საიდენთიფიკაციო პროცედურის გავლა. გონას ტურისტული მიმზიდველობა ძალზედ მაღალია - საზღვრისპირა მდებარეობა, კავკასიონის ქედის ხედები, რთული ბუნებრივი პირობები. იგი წარმოადგენს საზაფხულო დასახლებას და გააჩნია სოფლის ტურიზმის განვითარების პოტენციალი. გონაში წარმდოგენილია XII ს-ის ბაზილიკური სტილის ტაძარი - „გონის მთავარანგელოზი“. მარშრუტი მოუყვება მდ.ჩვეშურას სანაპიროს და უშუალოდ გადის მდინარის ხიდზე, რაც ცალკე ექსტრემალურ ტურისტულ ღირებულებას სძენს. მდ.ჩვეშურას ხეობაში იქმნება ულამაზესი სანახაობა - მთა შოდა-კედელასა და მისი მყინვარის ხედებით.

მარშრუტი: **სოფელი ღები - შოდა-კედელას მთა**

მარშრუტი წარმოდგენილია საცალფეხო ბილიკით და საერთო დასაფარი მანძილი შეადგენს 6 კმ-ს. შოდა-კედელას მიმართულებით მარშრუტი უშუალოდ შემოდის პატარა ღების ტერიტორიაზე და იძლევა ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრების გაცნობის შესაძლებლობას. პატარა ღებიდან კი მდ.მუხამეშურას მიუყვება შოდის აღმართი, საიდანაც იწყება საცალფეხო ბილიკი, რომელიც ტყის საფარისა და სასმელი წყლების სიუხვით ხასიათდება. მარშრუტის ფარგლებში წარმოდგენილია საზაფხულო საძოვრებისთვის განკუთვნილი ხის ქოხები, რომელთა გამოყენებასაც ტრადიციული ხასიათი გააჩნდა ღების მაცხოვრებლებისთვის. ამავე ტერიტორიაზე გაბნეულია ბროლის ქვები. მახლობლად დმებარეობს ეკლესია, ზღ.დ-დან 2 300 მ სიმაღლეზე, რომელსაც ადგილობრივი დღესასწაულის ჩატარების ფუნქციაც გააჩნია (ელიაობა, 2 აგვისტო).

მარშრუტი: **სოფელი ღები - ნაქალაქარი ბრილი**

მარშრუტი მიუყვება მდ.რიონის ჭალას. მოცავს სამკურნალო თვისებებით გამორჩეულ მჟავე წყალს - ვეძისი. იძლევა სამოყვარულო თევზაობის შესაძლებლობა - კალმახით სავსე მდინარეებით: გორგასახოსრუ, ლისიანისრუ, კვაიშურისრუ. მარშრუტი მოიცავს სოფელ თევრეშოს, რომელიც წარმოადგენს საზაფხულო დასახლებას და ამ პერიოდში ეწევიან მესაქონლეობას და მისდევენ მეფუტკრეობას, რაც გასტრონომიული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. თევრეშოში წარმოდგენილია ციხე-კოშკის ნანგრევები. მარშრუტში შემოდის ჯვარის წყლის სალოცავი (ჯვარის წყლის ანგელოზი), რომლის სახელწოდებას გამომდინარეობს იმ ფაქტორიდან, რომ სამი მდინარის შერწყმით კეთდება ჯვრის ფორმა. რაც შეეხება ბრილს, მისი ნაქალაქარი უძველესი მეტალურგიული კულტურის კერა იყოს. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება სოფელ ბრილში მოპოვებული უძველესი ნივთები. სოფლის ტერიტორიაზე არის ძველი ეკლესიის ნანგრევები.

მარშრუტი: **სოფელი ღები - სასვანოს ტბები, ბრილის გავლით**

მარშრუტის ხანგრძლივობა საკმაოდ მაღალია და მანძილის დასაფარ საშუალებებს წარმოადგენს როგორც ცხენი, ისე მანქანა. მარშრუტი მიუყვება მდ.რიონის ჭალას. მოცავს სამკურნალო თვისებებით გამორჩეულ მჟავე წყალს - ვეძისი. იძლევა სამოყვარულო თევზაობის შესაძლებლობა - კალმახით სავსე მდინარეებით: გორგასახოსრუ, ლისიანისრუ, კვაიშურისრუ. თევრეშოში მიმავალი გზა კლდეშია გაჭრილი. თევრეშო წარმოადგენს საზაფხულო დასახლებას და ამ პერიოდში ეწევიან მესაქონლეობას და მისდევენ მეფუტკრეობას, რაც გასტრონომიული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. თევრეშოში

წარმოდგენილია ციხე-კოშკის ნანგრევები. მარშრუტში შემოდის ჯვარის წყლის სალოცავი (ჯვარის წყლის ანგელოზი), რომლის სახელწოდებას გამომდინარეობს იმ ფაქტორიდან, რომ სამი მდინარის შერწყმით კეთდება ჯვრის ფორმა. სასვანოს გორის ტბებისკენ მიმავალ გზაზე შესაძლებელია მყინვარი ედენას და მდ.რიონის სათავის ნახვა. სასვანოს გორის ტბებისკენ მიმავალი აღმართი ალპური ზონითაა წარმოდგენილი, რაც ცალკე ტურისტულ ღირებულებას სძენს მარშრუტს. სასვანოს ტბებიდან შესაძლებელია გადასვლა ზესხოში (სვანეთის სოფელი), სადაც მდებარეობს ალპინისტების ბანაკი.

მარშრუტი: **სოფელი ღები**

აღნიშნული მარშრუტი მოიცავს სოფელ ღებში არსებულ ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს. შესაძლებელია ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების გაცნობა. კულტურული მნიშვნელობის, „დედაღვთისა“-ს მონახულება, რომელიც განთავსებულია კოშკში. სოფელში აგრეთვე შესაძლებელია გასტრონომიული ტურიზმის განვითარება და ტურისტთა დაინტერესება ამ მიმართულებით.

2. სოფელ ჭიორას პერსპექტივები

ტურისტული სეზონის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ჭიორაში ტურისტთა ნაკადების მოზიდვა შესაძლებელია ივლისის თვიდან სექტემბრის ჩათვლით.

ჭიორა ხასიათდება კულტურული მემკვიდრეობის სიმდიდრით და ტურიზმის განვითარება ძირითადად ამ მიმართულებით არის პერსპექტიული. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც 1870 წელს ბერძენი მუშების მიერაა მოპირკეთებული; აგრეთვე, საინტერესოა ბაზილიკა „კვირაცხოველი“.

ტურიზმის პერსპექტიულ მიმართულებად შესაძლოა აგრეთვე მიჩნეულ იქნას გასტრონომიული ტურიზმი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოთმოცემულ მარშრუტებს აქვს ზოგადი ხასიათი და ძირითადად ხაზგასმულია ტურისტული ღირებულება. ტურისტთა ნაკადებისთვის მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურების გაწევისათვის საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურისტული ბილიკების ამრკირება, ადგილობრივი ტურისტული პერსონალის კვალიფიცირება.

3.9 ბუნებრივი გარემოს და სოციო-ეკონომიკური ვითარების შეფასება - დადებითი და უარყოფითი მხარეები, შესაძლებლობები, გამოწვევები

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	გამოწვევები
ღები	მიმზიდველი ბუნებრივი გარემო - ტურისტული პოტენციალი • დაცული ტერიტორიები • ბუნების ძეგლები • ტურისტული მარშრუტები	სუსტი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარება	მგრძნობიარე და კრიტიკულ არეალებზე ორიენტირება - სათანადო ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების საჭიროება, რამდენადაც წყალმოვარდნა უქმნის საფრთხეს როგორც გზის საფარს, ისე სასოფლო-სამეურნეო და საკარმიდამო ტერიტორიებს
	სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა - სიახლოვე სვანეთის რეგიონთან, როგორც ტურისტთა ნაკადების მოზიდვის დამატებითი ფაქტორი	სოციალური ინფრასტრუქტურა • მწირი სახით წარმოდგენილი • მოშლილი ძველი ინფრასტრუქტურა (საავადმყოფო, სკოლის ძველი შენობა..)	მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განვითარება	ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, სათანადო ტურისტული მომსახურების გაწევა - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
	სოფლის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალი - სატრანსპორტო კავშირი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრათან	დემოგრაფიული პრობლემა - მოსახლეობის დეპოპულაცია (შიდა ემიგრაციის მაღალი დონე)	მცირე საწარმოების განთავსების რესურსი (ძველი ქვის მჭრელი საამქროს ინფრასტრუქტურა)	ტურიზმის განვითარების უარყოფითი ზეგავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე - სფეროს დომინანტობა, სტიქიური განვითარება, სოფლის მეურნეობის უგულვებელყოფა და სხვა
	დასახლების მოცულობა - მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტად დასახლებული ერთეული, ადმინისტრაციული ცენტრის შემდგომ	ადგილობრივ დონეზე საერთო ხედვის არარსებობა	მცირე ჰიდროელექტროსადგურის პოტენციალი (ძველი ჰიდროელექტროსადგურის შემორჩენილი ინფრასტრუქტურა)	კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება (მასშტაბი, ავთენტური მასალები, სიმაღლე და მოცულობა)
	საცხოვრისის რესურსი - სოციო-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებისა და ტურისტთა ნაკადების ზრდის პირობებში, მოთხოვნილების ზრდის შემთხვევაში	ადგილობრივი ჩართულობის არარსებობა	სოციო-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების შედეგად მიწის საკუთრებაზე ფასის ზრდა	
	სასოფლო-სამეურნეო მიწების რესურსი • სახნავ-სათესი • სათიბ-საძოვარი	სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მექანიზაციის დაბალი დონე	მთის რეგიონების განვითარების ხელშეწყობის კანონპროექტი - სოციალურ-ეკონომიკური შეღავათებისა და უპირატესობების გამოყენება	
	ბუნებრივი რესურსები • ჰიდროლოგიური • სასარგებლო წიაღისეული			
	კულტურული გარემოს არსებობა			
ჭიორა	მიმზიდველი ბუნებრივი გარემო - ტურისტული პოტენციალი • დაცული ტერიტორიები • ბუნების ძეგლები • ტურისტული მარშრუტები	მწვავე დემოგრაფიული ვითარება	ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარება, ძირითადად ორ კომპონენტზე დაყრდნობით: • ბუნებრივი გარემო • კულტურული მემკვიდრეობა	მგრძნობიარე და კრიტიკულ არეალებზე ორიენტირება - სათანადო ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების საჭიროება, რამდენადაც წყალმოვარდნა უქმნის საფრთხეს როგორც გზის საფარს, ისე სასოფლო-სამეურნეო და საკარმიდამო

				ტერიტორიებს
	სატრანზიტო მდებარეობა გლოლა-ღებს შორის	სუსტი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განვითარება	ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, სათანადო ტურისტული მომსახურების გაწევა - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
	სოფლის ტერიტორიის მიმდებარედ გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალი - სატრანსპორტო კავშირი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრათან	სოციალური ინფრასტრუქტურის არარსებობა	ტურიზმის და სოფლის მეურნეობის განვითარების შემთხვევაში, მოსახლეობის შენარჩუნება და რიცხოვნობის ზრდის სტიმულირება	ტურიზმის განვითარების უარყოფითი ზეგავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე - სფეროს დომინანტობა, სტიქიური განვითარება, სოფლის მეურნეობის უგულვებელყოფა და სხვა
	მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა	ადგილობრივი ჩართულობის არარსებობა	ღებში ტურიზმის განვითარების და მოთხოვნილების ზრდის შედეგად, დამატებითი მომსახურების მიწოდების შესრულება	კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება (მასშტაბი, ავთენტური მასალები, სიმაღლე და მოცულობა)
	სასოფლო-სამეურნეო მიწების რესურსი • სახნავ-სათესი • სათიბ-საძოვარი	სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მექანიზაციის დაბალი დონე	მთის რეგიონების განვითარების ხელშეწყობის კანონპროექტი - სოციალურ-ეკონომიკური შეღავათებისა და უპირატესობების გამოყენება	

ცხრილი 3.9.1 SWOT ანალიზი სოფლების (ღები-ჭიორა) საერთო შეფასება

ეტაპი	მიზანი	ამოცანები	მოსალოდნელი შედეგები
I	საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნა/გაუმჯობესება; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ტურისტული მიმზიდველობის ზრდა;	o ღებში თხევადი ნარჩენების გამწმენდი ნაგებობების და ძირითადი ქსელის პროექტირება-მშენებლობა; o ღების მცირე ჰიდროელექტრო სადგურის აღდგენის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების გაკეთება; o ღების და ჭიორას კულტურული მემკვიდრეობის კონცენტრირებული არეალების დეტალური შესწავლა; o საკონსერვაციო აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვა; o კავკასიონის სამხრეთ ფერდების ტურისტული მარშუტების დაგეგმვა / დაგეგმარება და მარკირება; o ღების კოშკის აღდგენა ჭიორას ცენტრის კეთილმოწყობის პროექტის მოზადება; ღები გონას გზის მონაკვეთის გაუმჯობესება; სოფლის მეურნეობის მცირე მიწიანი და რელიეფიანი ტერიტორიებისთვის ადეკვატური მუნიციპალური ტექნიკის პროგრამის შექმნა.	o რიონის ხების სოფლების ღებიას და ჭიორას თემის სოფლების მაცხოვრებლების საარსებო გარემოს გაუმჯობესება; o ზემო რაჭის იდენტობის და კულტურული მემკვიდერობის დაცვა; o ტურისტული მიმზიდველობის ზრდა; o ეფექტური სოფლის მეურნეების შექმნა; o მოსახლეების შენარჩუნება.

პირველი ეტაპის მიზნები ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები